



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 9 14

24/06/2019

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის, „ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის N 120 დადგენილების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნას 2019 წლის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტი წინადადებები დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალქალაქი, მ. მამუტოცის ქ. №110).

ნაირი ირიციან

საკრებულოს თავმჯდომარე

